საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის" გამგეობის
სხდომაზე ოქმი N3
04.04.2019 წელი

გამგეობის თავმჯდომარე [illegible] ჟორჟოლიანი

„ბაფ"-ის ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. საფუძველი და მიზანი

1.1. დებულება შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული **„ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა"** და **„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" „განათლების კომიტეტის"** დებულების საფუძველზე. იგი, ასევე, ეფუძნება **„ბაფის"** განათლების სტანდარტებით დადგენილ ნორმებს;

1.2. დებულების მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული **„ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამის"** მოთხოვნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ასევე, სერტიფიცირებული პირის სტატუსის მინიჭების პროცესში ბაფის განათლების სტანდარტებით მოთხოვნილი წესების დაცვა;

1.3. დებულებაში გათვალისწინებულია **„ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის"** მიერ მიღებული „განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა" და „გაერთიანებული ერების" ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ მიღებულ „პროფესიონალ ბუღალტერთა კვალიფიკაციისათვის ეროვნული მოთხოვნების დებულებები".

2. ტერმინების განმარტება

დებულების მიზნებისათვის ქვემოთ მოტანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

„კანონი" - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონი;

„სამსახური" - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური";

„ბაფი" - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია";

"ბსფ"- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია;

„კომიტეტი“ - განათლების კომიტეტი;

საგამოცდო კომისია - პროფესიული სერტიფიცირების პროგრამების საგამოცდო პოლიტიკითა და პროცედურებით განსაზღვრული წესების აღმასრულებელი, განათლების კომიტეტის სტრუქტურა;

ACCA - ბრიტანეთის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი;

პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამა;

პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ მიღებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი;

სერტიფიცირებული პირი- ბაფის ნამდვილი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტერი დ/ან სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც სერტიფიცირებულ პირად აღიარებულია კანონით ან/და სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად;

სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი - კანონით აღიარებული ან/და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სამსახურის მიერ აღიარებული ბაფის პროფესიული სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამის შესაბამისად, ACCA-ის ადაპტირებული პროგრამით სერტიფიცირებული პირი, პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის მფლობელი ბაფის ნამდვილი წევრი;

სერტიფიცირებული ბუღალტერი - კანონით აღიარებული ან/და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სასერტიფიკაციო პროგრამით სერტიფიცირებული პირი, ბაფის ნამდვილი წევრი;

აუდიტორი - აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული სერტიფიცირებული პირი;

წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნა - სერტიფიცირებული პირის სტატუსის მაძიებელი კანდიდატის წინასაკვალიფიკაციო ცოდნის, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და პროფესიული ქცევის ერთობლიობა;

პროფილი - კანდიდატის პროფესიული გამოცდილება კერძოდ: ბუღალტერი, აუდიტორი, აუდიტორის ასისტენტი, ფინანსისტი, ფინანსური მენეჯერი, ეკონომისტი;

სტაჟიორი - კანდიდატი, რომელიც პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერის შესაძენად სტაჟირებას გადის ბაფის მეთვალყურეობით;

მენტორი - ბაფის მიერ სტაჟიორისათვის მეთვალყურედ დანიშნული პირი.

განგრძობითი განათლების სტანდარტი -ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული განგრძობითი განათლების სტანდარტი;

პირველი დონის სერტიფიკატი - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მის მფლობელს დამთავრებული აქვს სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართული პროგრამის საწყისი მოდული;

მეორე დონის სერტიფიკატი - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მის მფლობელს დამთავრებული აქვს სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართული პროგრამის დახელოვნების მოდული;

განათლების სტანდარტი -,,ბსფ"-ის პროფესიონალი ბუღალტრის განათლების საერთაშორისო სტანდარტის ბაზაზე ,,ბაფის" მიერ მიღებული პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტი;

კანდიდატი - პირი, რომელიც მონაწილეობს ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში, სერტიფიცირებული პირის სტატუსის მოსაპოვებლად;

სერტიფიკატი - დოკუმენტი, რომელიც ადადსტურებს, რომ განსაზღვრული მომენტისათვის ბაფის წევრს გააჩნია მისი პროფესიული მომსახურების სფეროსათვის კანონით, პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტითა და ამ დებულებით დადგენილი გარკვეული საკვალიფიკაციო კომპეტენცია;

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებება – ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები და სოციალური მიმართულება ეკონომიკის დარგში.

1. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის საფუძვლები

3.1. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა შემუშავებულია **,,ბსფ" ,,განათლების საერთაშორისო სტანდარტების"** მოთხოვნების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, რომელიც კანდიდატს საშუალებას აძლევს, მოიპოვოს სერტიფიცირებული პირის სტატუსი და გახდეს ,,ბსფ"-ის წევრი;

3.1.1 პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული ცოდნა და კომპეტენცია სერტიფიცირებული პირისათვის გარანტირებული შანსია, გახდეს მოთხოვნადი სპეციალისტი მინიმუმ შემდეგ თანამდებობებზე: აუდიტორი, ფინანსური დირექტორი, მთავარი ბუღალტერი;.

3.1.2.პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა მოიცავს პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელ სასწავლო მოდულების ერთობლიობასა და სასერტიფიკაციო გამოცდებს;

3.1.3. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა წარმოადგენ **,,ACCA"**-ს ქართულ ენაზე ადაპტირებულ ვარიანტს, აღიარებულია სამსახურის მიერ, როგორც ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამა და მოიცავს:

ა) სასერტიფიკაციო პროგრამა.

პროგრამა გულისხმობს კანდიდატის მიერ 5 სასერტიფიკაციო გამოცდის სავალდებულოდ ჩაბარებას, რომლებიც შეესაბამება სრული სასერტიფიკაციო პროგრამის შემდეგ მოდულებს:

1. P1 კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა; 2. P2 კორპორაციული ანგარიშგება; 3. P7 აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება; 4. F4 ქართული ბიზნესსამართალი; 5. F6 საგადასახადო დაბეგვრა.

ბ) სრულ სასერტიფიკაციო პროგრამა

სრული სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში კანდიდატები აბარებენ **„ACCA“-ს** ქართულ ენაზე ადაპტირებული პროგრამით გათვალისწინებულ 13 მოდულს.

2. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის მიზანი

2.1. პროგრამის მიზანია:

ა) სერტიფიცირებული ბუღალტრის კარიერით დაინტერესებულ უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე და ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ნებისმიერ მსურველს შეუქმნას თანაბარი პირობები, პროფესიული დახელოვნების გზით სერტიფიცირებული პირის სტატუსის მოსაპოვებლად;

ბ) მუდმივად იყოს ბსფ-ის განათლების საერთაშორისო სტანდარტებით პროფესიონალი ბუღალტრისადმი მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციების შესაბამისი;

გ) უზრუნველყოს სერტიფიცირებული პირი ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობით, რომელიც დაეხმარება დასაქმებასა და კარიერულ ზრდაში;

დ) გაამართლოს სერტიფიცირებული პირის მიმართ საზოგადოების მოლოდინი.

3. სასწავლო პროგრამა და სერტიფიცირების გამოცდები

5.1. სასწავლო კურსი დაყოფილია მოდულებად. პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები, სწავლისა და გამოცდების მიზნებისათვის, აგრეგირებულია შემდეგ მოდულებად:

1. F1. ბუღალტერი ბიზნესში
2. F2. მენეჯერული აღრიცხვა
3. F3. ფინანსური აღრიცხვა
4. F4. ქართული ბიზნესსამართალი (სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსი)
5. F5. საქმიანობის შედეგების მართვა
6. F6. საგადასახადო დაბეგვრა (სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსი)
7. F7. ფინანსური ანგარიშგება
8. F8. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
9. F9. ფინანსური მართვა
10. P1. კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა (სასერტიფიკაციო პროგრამის კურსი)
11. P2. კორპორაციული ანგარიშგება (სასერტიფიკაციო პროგრამის კურსი)
12. P4. ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)
13. P7. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (სასერტიფიკაციო პროგრამის კურსი)

5.2. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილე კანდიდატები, ამ დებულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მოდულებიდან, სავალდებულო წესით, აბარებენ სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით“ დადგენილ 5 სასერტიფიკაციო გამოცდას:

ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფასს სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

ბ) „აუდიტი“ – აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

გ) „ბიზნესის მართვა და რისკი“ – კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

დ) „ბიზნესსამართალი - საქართველოს ბიზნესის კანონმდებლობა;

ე) საგადასახადო დაბეგვრა“ – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

5.2.1. კანდიდატს ცალკეული გამოცდის შედეგი უნარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დანარჩენ ყველა გამოცდას ჩააბარებს პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის განმავლობაში.

5.3. ამ დებულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მოდულებიდან, კანდიდატებს უფლება აქვთ ჩათვლები მიიღონ ,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით“ და ბაფის განათლების კომიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

5.3.1. ჩათვლის წესები განსხვავებულია - პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილე **სერტიფიცირებული ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი კანდიდატებისა და - **სრულ** სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე **სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი კანდიდატებისათვის;

5.3.2. ჩათვლა ეკუთვნის ყველა კანდიდატს, რომელიც **,,ბაფის“** პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში რეგისტრირებული იყო 2018 წლის თებერვლამდე და ამ დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასერტიფიკაციო გამოცდები **,,ბაფში“** ჩაბარებული ან/და ჩათვლილი აქვს სერტიფიცირების პროგრამის აღიარებამდე (2018 წლის 25 აგვისტო) პერიოდში;

5.4. კანდიდატი პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისათვის ემზადება **,,ბაფის“** სასწავლო პროგრამაში მონაწილეობით ან/და სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის გარეშე;

5.4.1. **..ბაფის’** სასწავლო პროგრამაში მონაწილე კანდიდატები პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისათვის მომზადებას გადიან **,,ბაფის“** პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტში. მოდულების მიხედვით სწავლების საათების მინიმალური მოცულობა განსაზღვრულია **,,განათლების კომიტეტის“** მიერ დამტკიცებულ შესაბამის სილაბუსებში;

5.4.2. კანდიდატს შეუძლია სემესტრში აირჩიოს მაქსიმუმ 3 მოდული.

4. პროგრამაში მონაწილეობა

6.1. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობა და კანდიდატად დარეგისტრირება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საქართველოში ან უცხოეთში მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან

მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება ან, რომელიც პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელია.

6.1.1. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი, პირადი განცხადების საფუძველზე, რეგისტრაციას გადის ბაფში. რეგისტრირებული პირი იწოდება სერტიფიცირების კანდიდატად, სერტიფიცირებული პირის სტატუსის მოპოვებამდე.

6.1.2. სერტიფიცირებული პირის სტატუსის მაძიებელი კანდიდატი განაცხადს აკეთებს და რეგისტრირდება როგორც: - **სერტიფიცირებული ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი ან - **სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი.

5. კანდიდატთა შეფასების სისტემა

5.1. კანდიდატების შეფასება ეფუძნება პროფესიული სერტიფიცირების გამოცდებს და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებს. პროფესიული სერტიფიცირების გამოცდით კანდიდატის კომპეტენცია ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება კანდიდატის მიერ 50 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში.

5.2. კანდიდატის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევები დასტურდება პროფილით პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებით.

5.3. სერტიფიცირებული პირის სტატუსის მინიჭებამდე კანდიდატმა უნდა მოახდინოს პროფესიონალი ბუღალტრის უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

5.4. კანდიდატის მიერ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერების გამოსამუშავებლად საკმარისად მიჩნეულია პროფილით მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.

5.5. კანდიდატი, რომელიც არ მუშაობს პროფილით, ვალდებულია სტაჟირება გაიაროს მენტორის მეთვალყურეობით.

5.6. **,,ბაფი“** კანდიდატს ეხმარება სტაჟირების ობიექტისა და მენტორის შერჩევაში.

6. პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისაგან გათავისუფლება (ჩათვლები)

8.1. **,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №6-16 ბრძანებით“** დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის 24-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირების მიმართ, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით, სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვებისათვის გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის ჩათვლა;

8.2. პროფესიული სერტიფიცირების გამოცდებზე დაშვებისათვის გათვალისწინებული უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის ჩათვლის სისტემა განსხვავებულია:

-**სერტიფიცირებული ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი კანდიდატებისა და

-**სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელი კანდიდატებისათვის.

8.2.1. სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ კანდიდატს შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესიული კომპეტენციის გამოცდები მოდულებში: F1, F2, F3, F5, F7, F8, F9, P3 და P4. ჩამოთვლილ მოდულებში ჩათვლის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით და კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ:

ა. 2005 წლის ჩათვლით პერიოდში

ასეთი პირები კანდიდატები გახდებიან და გამოცდაზე დაიშვებიან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის საფუძველზემხოლოდ 2021 წლამდე; შემდგომ პერიოდში ეს პირები ვერ ისარგებლებენ ჩათვლებით;

ბ. 2005 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის პირველი იანვრისა

ასეთი პირების კანდიდატებად აღიარება მოხდება სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვებისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსის/საგნის ჩათვლის საფუძველზე, რომელიც განხორციელდება, დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისად; აღიარებული კანდიდატი სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაიშვება ყველა სასწავლო კურსის/საგნის ჩათვლის მიღების შემდეგ. სხვა შემთხვევაში კანდიდატი ბაფში ჩააბარებს იმ კურსს/საგანს, რომელშიც ჩათვლას ვერ მიიღებს დიპლომის დანართის საფუძველზე.

გ. 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ

ასეთი პირების კანდიდატებად აღიარება მოხდება სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვებისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსის/ საგნის ჩათვლის საფუძველზე, რომელიც განხორციელდება, **„სამსახურის“** მიერ აღიარებული, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნე-ბის) ფარგლებში სწავლის შედეგების მიხედვით, საათების მინიმალური მოცულობის გათვა-ლისწინებით. აღიარებული კანდიდატი სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაიშვება ყველა სასწავლო კურსის/საგნის ჩათვლის მიღების შემდეგ. სხვა შემთხვევაში კანდიდატი **„ბაფში“** ჩააბარებს იმ კურსს/საგანს, რომელშიც ჩათვლას ვერ მიიღებს სამსახურის მიერ აღიარებული, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირთან სწავლის საფუძველზე.

8.2.2 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის - „ACCA-„ის ადაპტირებული სრული სასერტიფიკაციო პროგრამა - სტატუსის მაძიებელი კანდიდატები, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით, ამ დებულების 8.2.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებით, ჩათვლას მიიღებენ F-1, F-2 და F-3 მოდულებში:

ა. F-1 წიგნში - უპირობოდ, ავტომატურ რეჟიმში;

ბ. F-2 და F-3 წიგნებში - დიპლომის დანართში მოცემული უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისობის განხილვის საფუძველზე;

8.2.3. სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიცირების კანდიდატი, რომელიც მიიღებს ჩათვლას 8.2.2 პუნქტის შესაბამისად, გადაიხდის ჩათვლის მოსაკრებელს, რომელსაც ადგენს ბაფის განათლების კომიტეტი;

8.2.4. სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ კანდიდატად სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელი კანდიდატის დარეგისტრირების შემთხვევაში, ჩათვლები განხორციელდება: სერტიფიცირებული ბუღალტრის პროგრამაში ჩაბარებულ საგნებში (მოსაკრებლის გარეშე) და ამ მუხლის (8.2.2) „ა"და „ბ" პუნქტების შესაბამისად;

8.3. ჩათვლას მიიღებენ აგრეთვე სერტიფიცირებული პირის სტატუსის მაძიებელი კანდიდატები, რომლებსაც ამ დებულების მე-5 მუხლით (პუნქტი 5.1) გათვალისწინებული მოდულებში გამოცდები ჩაბარებული აქვთ ბაფში, სერტიფიცირების პროგრამის აღიარებამდე (2018 წლის 25 აგვისტო).

8.4. უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისობას განიხილავს ჩათვლების მისანიჭებლად შექმნილი კომისია;

8.4.1. **,,კომისია"** იქმნება **,,განათლების კომიტეტის"** მიერ 3-5 წევრის შემადგენლობით. კომისიის შექმნის წესს ადგენს **,,განათლების კომიტეტი".** 8.4.2. **,,კომისია"** განიხილავს სერტიფიცირების კანდიდატების მიერ **,,კომიტეტში"** წარმოდგენილ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ცალკეულ კანდიდატთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას, პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლების შესახებ;

8.4.3. **,,კომისია",** მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ინფორმაციას წარუდგენს **,,განათლების კომიტეტს",** რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და კანდიდატებისათვის ხელმისაწვდომობას.

7. კანდიდატის მომზადება გამოცდებისათვის

7.1. კანდიდატი გამოცდებისათვის ემზადება დამოუკიდებლად, ან **,,ბაფის"** სასწავო ცენტრში, სამსახურის მიერ აღიარებული ბაფის ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამის სილაბუსების მიხედვით;

9.2. გამოცდებისთვის მოსამზადებლად, კანდიდატის ძირითად სასწავლო მასალად გამოიყენება ქართულ ენაზე თარგმნილი **,,ACCA**"–ის პროგრამის სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები;

9.3. პროგრამის სილაბუსების შესაბამისი სახელმძღვანელო ლიტერატურით კანდიდატების უზრუნველყოფის მიზნით, ბაფი:

ა. მოიპოვებს უფლებას ორი გამომცემლობიდან (Kaplan Publishing UK da BPP Learning Media ან ACCA Approved Content Provider) **,,ACCA**"–ის მოდულების თარგმანასა და გამოცემაზე, პერიოდულად განაახლებს თარგმანის უფლებას და გამოსცემს განახლებულ ლიტერატურას;

ბ. შეიმუშავებს და პერიოდულად განაახლებს ,,ქართული ბიზნესსამართალის„ სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოებს და ელექტრონული ფორმით განათავსებს **,,ბაფის**" ვებგვერდზე;

გ. გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს, კანდიდატების საგამოცდო მხარდაჭერისა და სრული სასერტიფიკაციო პროგრამაში **,,ACCA**"–ისაგან მიღებული აკრედიტაციის შენარჩუნებისათვის.

9.4. პროგრამების ცალკეული მოდულების სასწავლო კურსის განახლება, საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ხდება არაუგვიანეს 3 წელიწადში ერთხელ.

10. გამოცდებზე რეგისტრაცია და გამოცდები

10.1. სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება ყოველი წლის იანვარსა და ივლისში სამუშაო ან/და არასამუშაო დღეებში. გამოცდების გრაფიკი მოდულების მიხედვით ქვეყნდება გამოცდის თარიღამდე მინიმუმ 4 თვით ადრე; გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს **,,განათლების კომიტეტის"** მიერ დანიშნული **,,მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია",** რომელიც მოქმედებს **,,განათლების კომიტეტის"** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

10.2. ყოველ საგამოცდო პერიოდში გამოცდებამდე მინიმუმ 10 დღით ადრე კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს გამოცდაზე On-Line ,,**ბაფის"** მონაცემთა ბაზაში.

10.3. გამოცდებზე On-Line რეგისტრაციისას კანდიდატმა უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. გამოცდის საფასურის გადახდის ქვითარი;
2. ბაფის საწევროს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, საგამოცდო პერიოდში;
3. დამხმარე ლიტერატურის (ჟურნალის) გამოწერის დამადასტურებელი ქვითარი, საგამოცდო პერიოდში;
4. საგამოცდო საგნის სასწავლო ლიტერატურის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი.

არასრული, ან არასწორი გადახდის შემთხვევაში, კანდიდატი რეგისტრაციაზე დასტურს ვერ მიიღებს. კანდიდატმა გადახდის ქვითრები უნდა შეინახოს გამოცდის ბოლომდე.

10.4. გამოცდის შედეგი ქვეყნდება ,,ბა**ფის"** ვებ-გვერდზე www.gfpaa.ge - განათლება და სერტიფიცირება - სერტიფიცირებული პროგრამა - გამოცდები, მისი დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, კანდიდატის პერსონალურ მონაცემთა ბაზაში.

10.5 კანდიდატს შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს თავისი საგამოცდო ნამუშევრის შეფასება. საჩივრის ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს:

- თავისი საგამოცდო ნამუშევრის ხელახალი შეფასება; ან
- წერილობითი ანგარიში, თავისი საგამოცდო ნამუშევრის შეფასებასთან დაკავშირებით.

10.5.1.შემოსული საჩივრები გადაეცემა განათლების კომიტეტს, რომელიც ქმნის საჩივრების განმხილველ კომისიას. კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში განიხილება კომისიის წევრების, განათლების კომიტეტის თავმჯდომარისა და კანდიდატის მონაწილეობით.

10.5.2. საჩივრის განხილვა და საბოლოო შედეგზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს.

10.5.3. დაშვებული არაა:

- საგამოცდო ნამუშევრის კანდიდატისათვის დაბრუნება;
- საჩივრების განმხილველ კომისიაში კანდიდატის მიერ მოთხოვნილი შემფასებლის მონაწილეობა.

10.6. შედეგების, ტესტებისა და პასუხების გამოქვეყნება

10.6.1 კანდიდატების ინდივიდუალური შედეგები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. განათლების კომიტეტი აქვეყნებს მხოლოდ შედეგების სტატისტიკურ ანალიზს.

დამსაქმებელს შეიძლება მიეწოდოს კანდიდატის შეფასების შესახებ ინფორმაცია, თუ დამსაქმებელი არის კანდიდატის სპონსორი და შესაბამისი სამმხრივი ხელშეკრულებით შეთანხმებულია ინფორმაციის მიღების უფლება.

10.6.2. დაშვებული არაა ტესტებისა და საგამოცდო კითხვების პასუხების გასაჯაროება. ნაშრომები კანდიდატებს არ უბრუნდებათ. საგამოცდო ნამუშევრები უსაფრთხოდ ინახება ბაფში 6 წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საგამოცდო ნამუშევრები ექვემდებარება განადგურებას, რათა ხელმისაწვდომი არ გახდეს არაუფლებამოსილი პირებისათვის.

11. სერტიფიკატი

11.1. სერტიფიცირებული პირის სტატუსს და შესაბამის სერტიფიკატს კანდიდატი მიიღებს ამ დებულებით გათვალისწინებული ჩათვლებისა და სავალდებულო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია კანდიდატს, გამოცდის შედეგებთან ერთად, ჰქონდეს პროფილით მუშაობის შესაბამისი გამოცდილება.

11.2. **სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის** სტატუსის მაძიებელ კანდიდატს, პროფესიული სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამის (**„ACCA“** -ის ქართულ ენაზე ადაპტირებული) გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, შეუძლია მიიღოს:

- **პირველი დონის** სერტიფიკატი, პირველი სამი მოდულის ჩაბარების (ჩათვლების გათვალისწინებით) საფუძველზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კანდიდატს არცერთი მოდულის გამოცდა არ ჩაუბარებია და მხოლოდ ჩათვლებით ისარგებლა;
- **მეორე დონის** სერტიფიკატი, მომდევნო 6 მოდულის ჩაბარების (ჩათვლების გათვალისწინებით) შემდეგ და პროფილით 2-წლიანი სამუშაო გამოცდილების დადასტურების შემთხვევაში. მეორე დონის სერტიფიკატის მფლობელზე ასევე გაიცემა მთავარი ბუღალტრის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი;
- **პროფესიონალი ბუღალტრის** სერტიფიკატი, ცამეტივე მოდულის ჩაბარებისა (ჩათვლების გათვალისწინებით) და პროფილით მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილების შემდეგ.

11.3. **სერტიფიცირებული ბუღალტრის** სტატუსი კანდიდატს მიენიჭება და შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა სამსახურის მიერ აღიარებული **„ბაფის“ „ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამით“** (სასერტიფიკაციო პროგრამა) გათვალისწინებული სავალდებულო გამოცდების ჩაბარებისა და პროფილით მუშაობის 3 წლიანი გამოცდილების დადასტურების შემდეგ.

12. სპეციალური ნორმები

12.1. ამ დებულების შესაბამისად სერტიფიცირებული პირები: **„სერტიფიცირებული ბუღალტერი“** და **„სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“** აკმაყოფილებს აუდიტორად რეგისტრაციისათვის სერტიფიცირებული პირისადმი კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

12.2. ამ დებულების ამოქმედებამდე ბაფის მიერ „სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრებს“ უნარჩუნდებათ მინიჭებული სტატუსი, დებულების მიღების მომენტისათვის არსებული სტატუსით;

12.3. **,,ACCA**“ -ის ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებს სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის მოეთხოვებათ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება ქართულ საგადასახადო და ბიზნესსამართალში;

12.4. დასაშვებია სხვა პროფესიული ორგანიზაციის (რეზიდენტი და არარეზიდენტი) ან პროფესიის მარეგულირებელი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პირისათვის **,,ბაფის“** პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის გაცემა, თუ სერტიფიკატის გამცემი ორგანო არის ,,**ბსფ**“ წევრი და მის მიერ პირი სერტიფიცირებულია ამ დებულებით განსაზღვრულის ეკვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით.

12.5. დასაშვებია **,,ბაფის“** პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი პროგრამის მქონე სხვა პროფესიული ორგანიზაციაში (მ.შ. ,,**ACCA“**) ჩაბარებული მოდულების (წიგნების) ჩათვლა, იმ პირებისათვის, რომლებიც ჩაერთვებიან **,,ბაფის**“ სერტიფიცირების პროგრამაში, ამ პროგრამების ექვივალენტურობის აღიარების პრინციპით..

12.6. პროგრამების ეკვივალენტურობას ადგენს ამ დებულების 8.4 პუნქტის მიხხედვით შექმნილი კომისია. ეკვივალენტურობის უზრუნველსაყოფად პირს "ქართული ბიზნესსამართალისა" და "საგადასახადო დაბეგვრის" გამოცდები ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ქართულ საკანონმდებლო ბაზაზე დაფუძნებით. სხვა შემთვევაში პირი ვალდებულია დამატებით ჩააბაროს გამოცდა წიგნებში: "ქართული ბიზნესსამართალი" და "საგადასახადო დაბეგვრა".

12.7. ამ დებულების 5.2.1. პუნქტი არ გამოიყენება კანდიდატების მიმართ, რომლებიც **,,ბაფის“** სასერტიფიკაციო პროგრამაში რეგისტრირებული იყვნენ სერტიფიცირების პროგრამის აღიარებამდე (2018 წლის 25 აგვისტო).

12.6. დებულება ძალაშია 2018 წლის 1 სექტემბრიდან.